



CHIATURMANGANUM GEORGIA
Georgian Ferroalloys

შპს "ჭიათურმანგანუმი ჯორჯია"

გვ. 1

ს/კ 215147874

ურიდიული მისამართი: თერჯოლის რ-ნი 2413, სოფელი ნახშირღელე

ოფისი: თბილისი 0183, შავგულიძის ქ. №1

ტელ: +(995 32) 222 29 50 / ფაქსი: +(995 32) 222 77 60

ელ-ფოსტა: info@chmg.com.ge / ვებ-გვერდი: www.chmg.ge

126/10-24

21.10.2024წ



სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსს ბატონ ვასილ გედევანიშვილს

თერჯოლის მუნიციპალიტეტში, შპს „ჭიათურმანგანუმი ჯორჯიას“ 110 კვ ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის „ნახშირღელეს“ გაცვანისა და ექსპლუატაციის გზშ-ის ანგარიშზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით წარმოდგენილი ჩვენი №6229 განცხადებაზე, თქვენი №21/9004 (22/08/2024) წერილში მოცემული საკითხების/შენიშვნების გათვალისწინებით დამატებით წარმოგიდგენთ დაზუსტებულ/დამატებით ინფორმაციას. კერძოდ:

1. შენიშვნაზე - "წარმოდგენილია ფერომენადნობების საწარმოს წარმადობის გაზრდისთვის გათვალისწინებული ინფრასტრუქტურული ობიექტების Shp ფაილები, თუმცა გზშ-ის ანგარიშის მიხედვით საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილება აღარ არის დაგეგმილი და შესაბამისად აღნიშნული საკითხი/Shp ფაილები საჭიროებს დაზუსტებას"- რეაგირების მიზნით დაზუსტებული აღნიშნული საკითხი/Shp ფაილები წარმოდგენილია წინამდებარე წერილზე დანართის სახით;
2. შენიშვნაზე - "არ არის წარმოდგენილი ელექტროგადამცემი ხაზის დაცვის ზონის Shp ფაილები"- რეაგირების მიზნით დაზუსტებული ელექტროგადამცემი ხაზის დაცვის ზონის Shp ფაილები წარმოდგენილია წინამდებარე წერილზე დანართის სახით;
3. შენიშვნაზე - "გზშ-ის ანგარიშში მოცემული საყრდენი ანძების კოორდინატები და Shp ფაილები ურთიერთშეუსაბამოა, რაც საჭიროებს დაზუსტებას"- რეაგირების მიზნით დაზუსტებული საყრდენი ანძების კოორდინატები და Shp ფაილები წარმოდგენილია წინამდებარე წერილზე დანართის სახით;
4. შენიშვნაზე - "დაზუსტებას საჭიროებს არსებული და მოსაწყობი გზების შესახებ ინფორმაცია, დაგეგმილი გზების Shp ფაილებთან ერთად"- რეაგირების მიზნით დაზუსტებული არსებული და მოსაწყობი გზების შესახებ ინფორმაცია, დაგეგმილი გზების Shp ფაილებთან ერთად წარმოდგენილია წინამდებარე წერილზე დანართის სახით;
5. შენიშვნაზე - " როგორც სკოპინგის დასკვნით გეგნობათ, მდ. ყვირილას მარჯვენა ფერდობზე, ქუთაისის შემოვლითი მაგისტრალის მიმდებარედ, ფიქსირდება აქტიურ დინამიკაში მყოფი მასშტაბური მეწყერული სხეული. აღსანიშნავია, რომ სწორედ მის სიახლოვეს 40-50 მ-ში იგეგმება ანძების (№27, 28) მოწყობა, ხოლო გზშ-ის ანგარიში არ მოიცავს ინფორმაციას აღნიშნულ მეწყერთან დაკავშირებით. ამასთან ანგარიშის მიხედვით: „საშიში გეოდინამიური პროცესების ჩასახვა- განვითარების კვალი არ ფიქსირდება, უბანი მდგრადია და მშენებლობებისათვის მისაღებია“, რის საპირწონედაც ასევე გამოყენებულია საქართველოს ტერიტორიის მეწყრის, ღვარცოფისა და ქვათაცვენის საფრთხეების დარაიონების წვრილმასშტაბიანი (1:3 000 000) რუკები, რომელთა მიხედვითაც ანძების განთავსების ტერიტორია ფასდება როგორც „დაბალი საფრთხის“ შემცველად, თუმცა აღნიშნული მასშტაბის რუკების (რომლებიც ზოგადი ხასიათისაა) გამოყენება დაგეგმილი საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე არ არის მიზანშეწონილი. შესაბამისად აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას, ასევე საჭიროა შეფასდეს ზემოაღნიშნული მეწყრის არსებული დინამიკური მდგომარეობა და მოსალოდნელი საშიშროების რისკი

ელექტროგადამცემ ხაზთან მიმართებაში“- რეაგირების მიზნით დაზუსტებული ინფორმაცია იხილეთ მიწის ანალიზებში საინჟინრო-გეოლოგიური გეგმის 52 და 53 გვერდებზე ჭაბურღილი №27 და ჭაბურღილი №28 შესახებ;

6. შენიშვნაზე - “ანგარიშის თანახმად, „ეგზ-ის სამშენებლო პროექტის მომზადების პროცესში დაგეგმილი პროექტის გავლენის ზონაში მოქცეული, ჭრას დაქვემდებარებული ხე-მცენარეების დეტალური აღრიცხვის (ტაქსაციის) სამუშაოები და მცენარეული საფარის გარემოდან ამოღება მოხდება სსიპ ეროვნულ სატყეო სააგენტოსთან შეთანხმების საფუძველზე“. მონაცემების ელექტრონული გადამოწმებით, დაგეგმილი საქმიანობა არ მოიცავს ეროვნულ სატყეო სააგენტოს დაქვემდებარებულ სახელმწიფო ტყეს და აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას“- რეაგირების მიზნით დაზუსტებული ინფორმაციის შესაბამისად დაგეგმილი საქმიანობა არ მოიცავს ეროვნულ სატყეო სააგენტოს დაქვემდებარებულ სახელმწიფო ტყეს, ამიტომ დაზუსტებული იქნა ელექტროგადამცემი ხაზის და მისი გაყვანისათვის საჭირო სხვა ინფრასტრუქტურის მოსაწყობად დაგეგმილი მოსაჭრელი ხე-მცენარეების ზუსტ მონაცემებზე, მათი სახეობების მიხედვით, რაოდენობისა და მოცულობის მითითებით და შედგენილი იქნა ე.წ. ტყეკაფის უწყისი, რომელიც წარმოდგენილია წინამდებარე წერილზე დანართის სახით;

7. შენიშვნაზე - “დაზუსტებას საჭიროებს ინფორმაცია ელექტროგადამცემი ხაზის და მისი გაყვანისათვის საჭირო სხვა ინფრასტრუქტურის მოსაწყობად დაგეგმილი მოსაჭრელი ხე-მცენარეების ზუსტ მონაცემებზე, მათი სახეობების მიხედვით, რაოდენობისა და მოცულობის მითითებით (ე.წ. ტყეკაფის უწყისი)“- რეაგირების მიზნით დაზუსტებული იქნა ელექტროგადამცემი ხაზის და მისი გაყვანისათვის საჭირო სხვა ინფრასტრუქტურის მოსაწყობად დაგეგმილი მოსაჭრელი ხე-მცენარეების ზუსტ მონაცემებზე, მათი სახეობების მიხედვით, რაოდენობისა და მოცულობის მითითებით და შედგენილი იქნა ე.წ. ტყეკაფის უწყისი, რომელიც წარმოდგენილია წინამდებარე წერილზე დანართის სახით;

8. შენიშვნაზე - “ანგარიშის თანახმად, ჰაერის ხარისხზე ნეგატიური ზემოქმედება არ იქნება მაღალი და შესაბამისად მშენებლობის ეტაპზე მავნე ნივთიერებათა ემისიების გაანგარიშება არ განხორციელდა, თუმცა ემისიების შედეგად ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე ზემოქმედების შეჯამების ცხრილში აღნიშნულია, რომ სამუშაო უბანზე და მიმდებარე საცხოვრებელი ზონასთან მოსალოდნელია მტვრის გავრცელებით გამოწვეული ზემოქმედების მაღალი რისკი. შესაბამისად მავნე ნივთიერებათა რაოდენობრივი მონაცემების გამოყენებით მოცემული უნდა იყოს ინფორმაცია სამშენებლო სამუშაოებისას წარმოქმნილი ატმოსფერული ჰაერის კონცენტრაციების შესახებ უახლოეს დასახლებებთან“- რეაგირების მიზნით დაზუსტებული ინფორმაციის შესაბამისად ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე ზემოქმედების შეჯამების ცხრილის მიხედვით მტვრის გავრცელების (წყარო - მიწის სამუშაოები, ტრანსპორტირება, ნაყარი სამშენებლო მასალების შენახვა-გამოყენება, ტექნიკისა და სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილება და სხვ) მოხდენის ალბათობა შეფასებულია მაღალი რისკის მატარებლად ტექნიკური ხარვეზის გამო, ფაქტიურად შეფასებული უნდა იყოს საშუალო საშუალო რისკის მატარებლად. ამავე დროს ამავე ცხრილის მიხედვით ნარჩენი ზემოქმედება შეფასებულია როგორც საშუალო ან დაბალი, ხოლო შემარბილებელი ღონისძიებების გათვალისწინებით - ძალიან დაბალი. დაზუსტებული ინფორმაცია წარმოდგენილია წინამდებარე წერილზე დანართში 1.2 (ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე ზემოქმედების დახასიათება);

9. შენიშვნაზე - “დაზუსტებას საჭიროებს ინფორმაცია მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელი ნარჩენების (კოდები, დასახელება, რაოდენობა და შემდგომი მართვის ღონისძიებები) შესახებ, მათ შორის დროებით დასაწყობების მეთოდებისა და პირობების შესახებ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 29 მარტის N145 „სახიფათო ნარჩენების შეგროვებისა და დამუშავების სპეციალური მოთხოვნების შესახებ“ დადგენილების შესაბამისად“- რეაგირების მიზნით დაზუსტებული იქნა ინფორმაცია მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელი ნარჩენების (კოდები, დასახელება, რაოდენობა და

შემდგომი მართვის ღონისძიებები) შესახებ, მათ შორის დროებით დასაწყობების მეთოდებისა და პირობების შესახებ. დაზუსტებული ინფორმაცია წარმოდგენილია წინამდებარე წერილზე დანართში 1.2 (ნარჩენების წარმოქმნით და გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედება);

- დანართი: 1. დამატებითი ინფორმაცია - 13 გვ.
2. 110 კვ ძაბვის ეგზ ნახშირლელე (საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის ანგარიში)
3. Shp ფაილებთან
4. ტყეკაფის უწყისი

პატივისცემით,
დირექტორი



მამია ბერიძე